



სეკონდარული

მიღება თფილისში: (დროშის რედაქციის კანტორაში (გ. წყნეთის და ახ. სტამბაში, სატისოვის სახლში).

ქუთაისში: გერასიმე (ალანდარა) შვილთან (სახელდებულ სასწავლებელში).

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოვსავთ: В. Тинь-мис. В. Контурь редакция газеты «ВРЕ-МЯ», при типографии Г. Церетели.

გამოდის კვირაში ერთხელ, ზარანკობით

ერთი წლისა — 6 მან. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევრის წლისა 3 » »	2 » »
სამი თვისა — 1 » 75	1 » 50
ერთი თვისა — » » 60	» » 50
ცალკე ნომრისა — » » 12	» » 10

განცხადებები, «დროშაში» დასაბეჭდად, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფსიკანცხადებისა: ჩვეულებრივის ასაკით, სტრატონზე 4 კაპ. და ასო-მთარეულებით — ასაკზე 1/4 კაპ.

დროშა

საქართველო და საღვთგოცურო გაზეთი

წელიწადი მუშაობა

შინაარსი

საქართველო: ქუთაისის ბანკის მდგომარეობა. — წერილი ამბები. — «დროშაში» კარგად უწოდებენ: ქუთაისიდან, — საინგილოდამ, — სასურველად. — უსუსო. — უცხო-ქვეყნებში: საფრანგეთი, — ინგლისი, — შვეიცარია. — ნაბეჭდი. — განცხადება.

საქართველო: თ. ყარაშანი არღუთისკის ანდერძი — ს.

ზოგიერთი მიზეზების გამო, ეს ნომერი, პარასკევ დილის მაგივრად, პარასკევ საღამოს გამოვიდა, და ამიტომ ფორტაში ან დღესვე გაგზავნა ვერ მოეხერხებოდა.

საქართველო

ქუთაისის ბანკის მდგომარეობა

ქუთაისის ბანკის თაობაზე ჩვენ ერთი აზრებული ამბავი გავიგონეთ, რომელიც, თუმცა ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ, საუბედუროდ, სრულდებით მართალი კი უნდა იყოს, რადგან სარწმუნო პირებისგან გვაქვს გავონილი; ამბობენ, ვითომც იმერეთის თავდაზნაურებში რამდენსამე პირს დაქვე ქალაქი, რომელზედაც ბანკის მონაწილე თავდაზნაურებს აწერინებენ ხელსა, რომ ჩვენ თანახმა ვართ, ამა და ამ პირს ჩავაბაროთ ჩვენი ბანკის საქმე, რომ ამ პირმა ჩვენ უნდა გავგიმართოს ბანკი, მმართველობასთან

იშუამდგომლოს, და ჩვენ ამ შრომისათვის ბანკის ფულებიდან რვა ათასი მანეთი უნდა მივსცეთო: იმას. ამასთანავე ამბობენ, რომ ამ კაცსავე უკისრნია თვითონ პროექტის დაწერა, მაგრამ იმ პირობით, რომ, სანამ არ დამტკიცდება მისი პროექტი, მანამ კაცს არ უჩვენებო (ეს უკანასკნელი პირობა მინც სწორედ რომ ძნელად დასაჯერებელია: მართლა, იმდენათ თვალ-აბმული როგორ იქნება იმერეთის თავდაზნაურობა, რომ რვა ათას მანეთს მისცემს ისეთს პროექტში, რომელიც თვითონ არც კი ნახავს და არ მოიწონებს!)

ჩვენი ბანკების საქმე ისე უბედურათა და უთავ-ბოლოთ მიდის, იმდენი სახსრები გამოსცადეს უნაყოფოდ, რომ იმის მოლოდინმა მართლა რომ მოაბეზრა თავი ქართლ-კახეთისა და იმერეთის თავდაზნაურებს. წინადადება წინადადებაზე, პროექტი პროექტზე იწერება — და ჩვენი ბანკების დამტკიცებასა და გამსწავს მანც არა ეშველა რა: შესანიშნავია, რომ ეს ჩვენი ბანკები, რაც დრო მიდის, თან და თან უარესსა და უფრო დახლართულს მდგომარეობაში ვარდებიან: უკანასკნელი პროექტი თფილისის გუბერნიის თავდაზნაურობის ბანკისა ყველა წინადადებულ პროექტებზე უარესი და გამოუდგარია; აგრეთვე მიდის იმერეთის ბანკის საქმეც.

ამ უკანასკნელ ხმებზე, რომელიც იმერეთის ბანკის თაობაზე დადის, — ი რა უნდა ვსთქვათ: ერთი რომ ყოველი განკარგულება ისეთს საზოგადო საქმეზე, როგორც მაგალი-

თად იმერეთის სათავდაზნაურო ბანკი, თავდაზნაურებისავე საზოგადო კრებაში უნდა მოხდეს და გადასწყდეს, ან იმისგანვე ამოიჩეულ კამიტეტში. საზოგადო კრებას სხვათა შორის ის მნიშვნელობა აქვს, რომ რომელსამე საზოგადო საქმეზე მოლაპარაკების დროს აქ წარმოიქმნის სხვა და სხვა, ზმირათ ერთმანეთის მოწინააღმდეგე, აზრები და შემდეგ კრება ისეთს აზრს ანუ წინადადებას მიიღებს, რომელსაც უფრო მოიწონებს და უფრო სასარგებლოდ დაინახავს. ზოგიერთი საქმეების განხილვის დროს, ამ შემთხვევაში ბანკის თაობაზედაც, ამგვარი წესი კანონით არის დადგენილი. მაშასადამე, ერთი მითხარით — რა კანონიერი ძალა და რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იმერეთში ვხვდებით, როგორც ამბობენ, ცალ-ცალკე პირებთან დაქვე ბანკის თაობაზე ქალაქი და არწმუნებენ, რომ იმერეთის ბანკის გამართვა მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება? იქნება აქ სხვა რამე საიდუმლო მოვლენა იყოს ამგვართ საქმის წყაყანის მიზეზი და არა თვითონ ბანკის სარგებლობა? იქნება პირადობა იყოს ამ საქმეში ზოგიერთების ნამდვილათ არ ვიცით მოძრაე ძალათ?

ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ერთ რომელსამე პირს არ უნდა მიანდოს კაცმა ასეთი საზოგადო საქმე. არა, შეიძლება ერთ პირსაც მიანდოს თავდაზნაურობამ თავის ბანკის საქმე, მაგრამ ამ შემთხვევაში, კანონიერათ მოქცევის გარდა, ისიც საჭიროა, რომ ეს კაცი

ყოველად პატიოსანი, დამოუკიდებელი, სანადლო და ამ გვარ საქმეებში კარგა გამოცდილი კაცი იყოს. ამას გარდა საჭიროა, რომ ამ კაცს თვითონ შესტიოდეს გული იმ საქმისთვის, რომელსაც ჰკისრულობს და არა მარტო ფულებისთვის ჰკიდებდეს იმას ხელს. თუ ყოველს პირობები არ იქნა ფრთხილათ დატული, მაშინ ძნელათ საფიქრებელია, რომ იმერეთის ბანკს კეთილი ბოლო ექნეს.

ჩვენის აზრით, ისეც ისა სჯობია, რომ სულ არ დაარსდეს ბანკი, ვიდრემ ისეთი ბანკი დაწესდეს, რომლითაც ისეთი პირები ისარგებლებენ, რომელთაც ჩვენი ეკონომიკური და თან ზნეობითი მხარეების ალიგენის ნაცვლათ, მხოლოდ თავიანთი თავითა საკუთარი სარგებლობა აქეთ მხედველობაში. დიან, ბანკი ისეთი რამეა, რომლისაც ჩვენთვის ბევრი სარგებლობისა, მაგრამ ხან ბევრი ზიანის მოტანაც შეუძლია. ეს იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ კაცებს ჩაუვარდება ის ხელში და როგორი წესდებულებით წაიყვანენ იმასა.

მაშასადამე ვერაინ ვერ დაგვზარაზის ჩვენ, რომ ვსთქვათ, რომ ჩვენთვის უსარგებლო და ჩვენი დამაზიანებელი ბანკის დაარსებას, სულ უბანკობა გვიჩვენებია, მეთქი.

ს. მ.

დიდი ხანია გვესმის, რომ ჩვენი რკინის გზა თფილისიდან ყვირილამდი აი დღეს, აი ხელს გახსნებოდა, კამისიამ დაამოწმა და კარგი გამოდგა; მაგრამ ვერ კიდევ არ გახსნი-

სამართალი


თ. ყარაშანი არღუთისკის ანდერძი

სომხებში, როგორც მოგვსვენებათ, დიდად განმირებულია ერთი კარგი ჩვეულება, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენში, ქართველებში, თითქმის სულ არ გავონილია: თითქმის ერთი ცოტადანათ მანც შემძლებელი სომეხი არ ეთხოვება ისე ამ სოფელს, რომ არ უანდერძოს რამე მანც თავის ქონებიდან საზოგადო, საქვეყნო საქმეს რასმე, მაგალითად, სასწავლებელს. ამ ორი წლის წინეთ გარდაიცვალა თ. ყარაშანი არღუთისკი, რომელმაც ოთხი ათასი თუმანი ანუ ორმოცი ათასი მანეთი (40,000) დასტავა ალექსანდროპოლში სასწავლებლის სასარგებლოთ. ანდერძი სიკვდილის ბევრით წინეთ ჰქონდა დაწერილი და იმ ანდერძში მეთერთმეტე მუხლში ასე ეწერა: «რადგანაც დავა პირე ალექსანდროპოლში უფასო სასწავლებლის დაარსება, ამიტომ ამ სასწავლებლის არჩენად ვტოვებ ოთხი ათას თუმანსა, რომელიც უნდა შეტანილი იყოს პრიკაზში და ამ ფულის სარგებელი უნდა მიდიოდეს სასწავ-

ლებლის რჩენაზედა. — ასე დასწერა თ. ყარაშანი არღუთისკიმ თავის ანდერძში, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო სასწავლებლის დაფუძნება. ანდერძის აღმსრულებელთა თვითონ მოიწადინეს მიცვალებულის უკანასკნელი სურვილის აღსრულება და დაფუძნეს ალექსანდროპოლში სასწავლებელი, რომელსაც თ. ყარაშანისაგან დატოვებული ფული მოახმარეს. სასწავლებელი სუფუფეს ეს თითქმის ორი წელიწადია და როგორც გავონილი გვაქვს, კარგათა მიდის. ეს კეთილი საქმე ყოველად სამაგალითო და შესანიშნავი, რასაკვირველია, ყოველად ღირსია თანაგრძობისა, მაგრამ ახლა თ. ყარაშანისაგან შეწირული ოთხი ათასი თუმანი ფული უნდა წაერთვას სასწავლებელს და ისეთი კაცების ჯიბეში ჩაიკიდეს, რომელთათვის სულაც არ იმეტება განსვენებული თავის საკუთარს კეთილ-შემძებულ ფულსა. განსვენებულს დაჩინენ ორი ძმა და სიძე, რომელთაც მოიწადინეს მეორე კეთილი საქმე, აგრეთვე ყოველად სამაგალითო და ღირს შესანიშნავი: მოიწადინეს წართმევა ობლების და ყმაწვილების სასწავლებლისათვის ანდერძით დატოვებული ფულისა. ამათ შეიტანეს სასამართლოში საჩივარი, რომლი-

თაც ამტკიცებენ, რომ სასწავლებლისათვის დატოვებული ფული საკუთრად ამათ ერგებათ და არა სასწავლებელსა. ამ საჩივრის დასაცველად ადვოკატებიც იზონენ: უფალი ბენკენლორჭი და პროკოპენკო. ესენი ამტკიცებენ, რომ განსვენებულის ნება ის იყო, რომ ოთხი ათასი თუმანი მოხმარებოდა იმ სასწავლებელს, რომლის დაფუძნებას თითონვე აპირებდა და არა იმას, რომელიც იმის ანდერძის აღმსრულებელთა დაფუძნეს შემდეგ იმის გარდაცვალებისა; რადგანაც თითონ ვერ მოასწრო სასწავლებლის დაფუძნება, ამიტომ ვე იმისაგან დატოვებული ფული ჩვენ ვვერგებო. არა მგონია, რომ განსვენებულის ნება ის ყოფილიყო, რომ იმისი საკუთარი, კეთილ-შემძებელი ფული ამათ ჯიბეში და ამათი ადვოკატების ჯიბეში ჩასულიყო. არა, განსვენებული სახლობა, საქვეყნო საქმისათვის, კეთილი საქმისათვის იმეტებდა ფულსა, ეს კეთილი საქმე დაარსდა და კარგათა წაიდა კიდევ და აგრ — იმისივე ღვიძლი ძმები თავისის ადვოკატებით გამოლაშქრებულან კანონების წიგნებითა და კასაციის «რეშენიებითა» და მიეტყნენ განსვენებულის ანდერძის შეტანებას. ეს ყოველად უმსგავსო საქმე ღირსია საზოგადო ყურადღებისა. პალატამ მიი-

ილო საჩივარი და ოთხი ათასი თუმანი მიძიებელთ გალუწყვიტა. მაგრამ ესეც უნდა მოინახნოთ, რომ ამ საქმეზედ ყური მოგვკარით ერთ ამბავსა, რომელიც, თუ მართალი გამოჩნდა, სულ სხვანაირათ გვიჩვენებს საქმესა. ამბობენ, ვითომ ამ შემოხსენებულ პირთა, ე. ი. განსვენებულის შემკვიდრებს, ორ ძმასა და სიძესა სულაც არა აქეთ ფიქრში ამ ოთხი ათასი თუმანს ჯიბეში ჩადება ან თავისთვის მოხმარება; არა, ამბობენ ვითომც იმათის აზრით ის სასწავლებელი, რომელიც დაუფუძნებიათ თ. ყარაშანის ანდერძის აღმსრულებელთა სრულებით არ შეეფერებოდეს განსვენებულის სურვილსა, ვითამც ამათ კარგათ იციან, რა ნაირი სასწავლებელი უნდა გამართა განსვენებულს და ამიტომაც მოუწადინებიათ ოთხი ათასი თუმანი იმ სასწავლებელს წართვან მხოლოდ იმისათვის, რომ მეორე სასწავლებელი უკეთესი და უფრცესი გამართონ სახსენებელად განსვენებულის თ. ყარაშანისათვის, ვითომც იმ ოთხი ათასი თუმანიდან გროში არ უნდათ თითონ შექაშონ და ვითომც ადვოკატებიც ამ კეთილი საქმის აღსასრულებლათ უფასოთ ისჯებოდნენ. თუ მართალი გამოჩნდა ეს ლაპარაკი, სწორედ ღირსნი იქნებიან მაღლობისათვის ის პირნიც და აგრეთვე იმათი ადვოკატებიცა.



ლა, ზოგი ამბობს, კიდევ რომ გაიხსნას რკინის გზა თფილისიდან ფოთამდე, სურამის ქედზე სიარული არ შეუძლია. ამ მოკლე ხანში მოგვიხდა ჩვენ თითქმის მთელი გზის გაწევა ქუთაისიდან თფილისამდე რკინის გზითა და უნდა ვსთქვათ, რომ სურამის მთაზე სიარული, განსაკუთრებით ზამთარში, რკინის გზით მართლაც ძალიან უნდა გაჭირდეს. საათში ათ-თორმეტი ვერსზე მეტს ვერ გადავადგინებთ, ისიც დიდი გასაჭირით, ყველა ტარა-მოზების მოშობით და ერთის ხენებით და ვაი-ვაგლახით. თუ ეხლა, ზაფხულში, როდესაც რელსებს არავითარი დაბრკოლება არა აქვს და მხოლოდ ერთი ან ორი ვაგონი მოაქვს მაშინაც, ასეთი გაჭირვებით დაიარება, ზამთარში ხომ, რასაკვირველია, უფრო ძნელი იქნება.

ყოველდღის ღირსია ის წესები, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის უწყობა, რომელიც სუფიეს ამ ქადაგებულს გაუხსნელს ჩვენს რკინის გზაზედ. ხალხი ეხლაც დაჰყავთ მუქთადა, მაგრამ თითოეულს მსურველს ერთ-ერთი რკინის გზის მოთავეს ბართი უნდა ჰქონდეს, რომ ამა და ამ კაცს ნება აქვს რკინის გზით წასვლისა, თორემ ისე დიდის გასაჭირით წაიყვანენ. გასაკვირველია, თუ მიჰყავთ ხალხი, ეს ისე ჰგავს რკინის გზისთვის საჭიროა და ბართიანებისა და უბარათობის არჩევა რაღა საჭიროა?

ამას გარდა ჩვენ შევნიშნეთ, რომ რკინის გზის კანდუქტორები და სხვა მსახურები ხამ და გამოუცდელ კაცებს ძალიან უსინდისოთ ეპყრობიან; ერთს სტანციიზე მაგალითად, ბეჭათ-უბნიდან გორამდე, კანდუქტორმა ვაგონში მსხდომ ხალხს, რომელიც უფრო ხამად დანიხა, მუქარა დაუწყო, რომ თითო მანეთი მომეციო, თორემ ბარგს გადაგიყრიოთ. მართლაც ზოგიერთები შეაშინა და ამნირი საშუალებით კანდუქტორმა ჩვენი ფაღალის წინ ვაგონში ექვსი მანეთი შეკრიბა. ამ ამბავმა მიაწია რკინის გზის ზედამხედველის ყუჩამდი, რომელმაც ჩვენთან კი გამოუცხადა კანდუქტორს, რომ სამსახურად დათხოვნილი იქნებოდა, მაგრამ, როგორც შევიტყუეთ, შემდეგ აპატავა. თუ ამნირი წესები დაუფინდა ჩვენ ახალ-შენ რკინის გზაზე, საეჭვოა, რომ იმას ამ მხრითაც კარგი სახელი დაუვარდეს...

ზემო იმერეთში წელს, გვალვის გამოიხსობით, ძალიან ცუდს ღვინისა, პურისა და სიმინდის მოსავალს მოელიან. ამბობენ, სამი თვის განმავლობაში ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა თითქმის მთელს შორაპნის მაზრაში. მაგრამ ქვემო იმერეთში და სამეგრელოში კი კარგი მოსავლის იმედი აქვთ. სამეგრელოსა და ქვემო იმერეთს მართლაც უწყვილობა ვერას დააკლებს, რადგან უშიშრობა ძალიან ნაკლებად აღვილებია და სიმინდს და ღვინს მშრალი ჰაერი მაგდენს არ ავინებს. ღვინო კი იქაც ყველგან წამხდარია თურმე.

ამ დღეებში თფილისში მოხდა ერთი ამბავი, რომლის მსგავსი რუსეთში ამ უკანასკნელ დროს ხშირად ხდება. ერთმა რეალური გიმნაზიის მესხეთე კლასის შეგირდმა, ტერმეკირტიჩიანმა, დამბახით მოიკლა თავი. ამ შესანიშნავი ამბავის გარემოებას ქალაქში ასე ლაპარაკობენ: ამბობენ, ვითომც ეს ყმაწვილი თავის მამასთან კარგ განწყობილებაში იყო იყო, ხშირად მოსდიოდათ ერთმანეთში ლაპარაკით; რეალურ გიმნაზიაში ხეირიანათ ვერ სწავლობდა თურმე და უკანასკნელ დროს მამას სთხოვა, კლასიკურ გიმნაზიაში გადაიყვანო; მაგრამ მამა არ დათანხმებულა. ერთს საღამოს, ამის თაობაზე ფიცხელი მოლაპარაკების შემდეგ, ამ ყმაწ-

ვილს აუღია რევილოვერი და შიგ შეტლში უკრავს. ეს უბედური ყმაწვილი გვმინწინ დასაფლავებს.

კავკასიის პერიოდიულ ლიტერატურას ერთი გამოცემა ემატება: ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანს თფილისში ერთი ახალი გაზეთი გამოვიდა, სახელათ — «თფილისის მოამბე» («Тифлисский Вестник»), რომლის რედაქტორათ. თ კონსტანტინე ბებუთოვი იქნება. ბედნიერ იყოს დაბადება მისი!...

გაზეთს «კავკასში» იწერებიან ნუხილამ, რომ წელს კარგ აბრეშუმის მოსავალს მოგვლით ჩვენში, რადგან ჰია ისე აღარ არის ახლა ავთ, როგორც წინეთ იყო.

ჩვენ გავივანეთ, რომ რამდენსამე ალგას ქუთაისის გუბერნიაში მიწის მზომელები (ზემლომერები) ანუ, როგორც იმერეთში ეძახიან, «მეკორღეები» დაიარებიან და კერძო პირების მიწებს მიჰყავნენ. ამასთანავე ამბობენ, რომ ეს მეკორღეები ზოგან ავიწროებენ სოფლის ხალხსაო: როდესაც რომლისამე მიწის საზომავით მიდიან, მთელი სოფელი გამოჰყავთ და ამნირათ მუშაობას აცდენენო. ამას გარდა იმათ სალდათები დაჰყავთ თან და ეს სალდათები და თვითონაც მუშაობის დროს სოფლის ხარჯით სცხობენო. არ ვიცით, რა კანონით იქცევიან ისინი ამგვართა...

ამბობენ, რომ ქალაქში ხოლოცის ნიშნები გამოჩნდა; ერთი-ორი შემთხვევა ყოფილა, მაგრამ სუსტათ.

«დროების» კორრესპონდენცია

ქუთაისი, სექტემბერი.

ამ თვის პირველს რიცხვებში (1-4) ქუთაისში ჰქონდათ ყრილობა იმერეთის ეპარხიის სამღვდლოების დეპუტატებს. თუ ახლავთ მკითხველებს, «დროებში» იყო ერთხელ ნათქვამი, რომ სასულიერო სასწავლებლების გაძლიერება და ჩინა რუსეთში ახალი დებულებით (უსტეით) აღვილობრივ სამღვდლოებას ვალდებულებად აძეს. ამისგან იმავე უსტეის ძალით წელიწადში ორ-ჯერ, თუ არა ერთჯერ მაინც სამღვდლოებისაგან ამორჩეულ პირებს უნდა ჰქონდესთ კრება იმ მაზრის ქალაქში, სადაც სასულიერო სასწავლებელი არის. მოსალაპარაკებლად სასწავლებლის საქმეებზე, განსაკუთრებით იმაზე, რა საშუალებით და რა წყაროებიდან უნდა არჩინონ სასწავლებელი. ეს წესი არსებობს 1868 წლიდან, და იქადაგან დაწყებული ყოველ წლებით იკრიბებიან ხოლმე ქუთაისში იმერეთის ეპარხიის სამღვდლოების წარმომადგენლები. მაგრამ ყველა წინა წლების კრებებზე უფრო შესანიშნავი იყო ახლანდელი კრება. წინა კრებების გარდაწყვეტილებით სასწავლებელს შემოუდიოდა სამღვდლოებისა და ეკლესიებიდან წელში მხოლოდ 3000 მანეთამდე, რომელიც არ შეადგენს იმ რაოდენობის მყოფობას, რაც ახალი უსტეით უნდება. ახლანდელ კრებას უნდა გარდაეწყვიტა, რამდენი ფულის შემოტანა შეუძლია ყოველ წლებით სამღვდლოებას, რომ შესაძლებელი იყოს სასწავლებლის ჩინა და ამას გარდა გახსნა სემინარიისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა სამღვდლოებისათვის. აქ ესთელი საჭიროდ ორიოდე სიტყვა ვსთქვა იმაზე, რა არის სემინარია, რა მნიშვნელობა აქვს მას, — საჭიროდ ესთელი ერთი ამიტომ, რომ ახლანდელ, ახალი უსტეისამებრ დაწყე-

ვილს სემინარიას დიდი გარჩევა აქვს წინანდელი სემინარიისაგან, კიდევ მისთვის რომ ბევრი იმერეთში აქაურ სასულიერო სასწავლებელსაც სემინარიას ეძახიან და სემინარიათ მიაჩნიათ, მაშინ როდესაც ეს ასე არ არის.

აქამდის სემინარია შესდგებოდა სამი კლასისაგან: მესუთისა, მეექვსისა და მეშვიდისაგან, რომელთაგან თვითთავთუ მოსწავლე უნდა ყოფილიყო ორ-ორი წელიწადით. ოთხ კლასიან სასულიერო სასწავლებელში რომ ყმაწვილი სწავლას გაათავებდა, იმას იღებდენ სემინარიის მესუთე კლასში. ახალი უსტეით სემინარია, რომელიც ძველი სემინარიიდან დიდად გენიჩრევა სწავლის დაწყებულებით, ექვსი კლასიდან შედგება, თითო კლასში წელიწადია დადებული სწავლა. სემინარიის პირველ კლასში შემსვლელს ყმაწვილს სასულიერო სასწავლებლის ოთხი კლასის სწავლა შესრულებული უნდა ჰქონდეს. პირველი ოთხი კლასი სემინარიისა (1-2-3 და 4) განსწორებულია სრულს გიმნაზიასთან, ასე რომ, ვინც ამ ოთხი კლასის სწავლას შეასრულებს, იმას იღებენ უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში თანასწორ გიმნაზიაში კურს შესრულებულისა ვინც სამღვდლოთ ემზადება, იმან უნდა ისწავლოს უკანასკნელ კლასშიც, ე. ი. მესუთეში და მეექვსეში, რომლებშიც მხოლოდ ღვთისმეტყველების საგნებს ასწავლიან. — რომ აქამომდე ქუთაისში სემინარია არ არის, ვე დიდი დასაკლესი იყო და არის მთელი დასავლეთის საქართველოსათვის. უმეცარ სამღვდლოებას რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის? ამისთვის ახლანდელი იმერეთის ყოველ სამღვდლო გაბრიელი დიდი ხნიდან და დიდად მონდომებული იყო, რომ ქუთაისში სემინარია გახსნილიყო. მაგრამ საშუალება არ იყო. უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ, რომელთანაც ამზე მიწერ-მოწერა ჰქონდა ყოველ სამღვდლოს, შემწეობაზე უარი სთქვა. ბოლოს აქაურს ეკლესიას შემოსავალი მოუმატა. წინა წელში გადიდა ხაზინის უწყებაში მრთელი ეპარხიის საეკლესიო ადგილ-მამულები, რომლებს მაგიერად ხაზინამ უნდა აძლიოს ეკლესიას ყოველ წლებით 26000 მანეთამდე. ყოველ სამღვდლომ დაინახა შესაძლებელად, რომ ამ ფულიდან, ეპარხიის სხვა და სხვა აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ გადიდეს კარგა ძალი სუმა სემინარიისათვის. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფულები არ იქმნებოდა სემინარიისთვის, რომლისთვისაც საჭიროა ყოველ წლებით 26—30 ათას მანეთამდის. ყოველ სამღვდლომ მიმართა სამღვდლოებას. წელს მან დაიარა მრთელი იმერეთის ეპარხია, ყველა საბლალოჩინო მაზრებში სამღვდლოების ყრილობას ელაპარაკებოდა სემინარიის გახსნის თაობაზე, ითხოვდა, რომ სამღვდლოებას თავის მხრით მიეცა შემწეობა და ეხმარა უკანასკნელი საშუალება ამ სასარგებლო საქმის სისრულეში მოყვანისათვის. 1 სექტემბერს, როდესაც დეპუტატებმა სასულიერო სასწავლებელში თავი მოიყარეს და როგორც წინა წლებში, თავ-მჯდომარეთ ერთ ხმად აირჩიეს დეკანოზი ი. გამრეკლოვი, კრებაში მოვიდა ეპისკოპოსი და თან მოიტანა დაწერილი წინადადება, რომელშიც იყო ნათქვამი, რომ სემინარიის და სასწავლებლის შესანახავათ საჭიროა წელიწადში ორმოცდა ათასი მანეთი (40.000) მაინც, და რომ სასწავლებელიც არსებობდეს და სემინარიაც გაიხსნას უცილებელად საჭიროა, რომ სამღვდლოებამ მიიღოს თავის თავზე ყოველწლებით ზემო დანიშნულის მესამედი მაინც, ე. ი. ათი ათას მანეთზე მეტი.

იქვე იყო ნაჩვენები, რა დეპუტატებმა შეეძლოთ ამ ფულის შემოტანა. ვინც ვსთქვათ, რომ სანამ ეპისკოპოსი ამ კრებაში მივიდოდა და სამღვდლოებას სიტყვას ეტყობოდა, ძალიან საეჭვოდ ჩნდა, რომ სამღვდლოებას გამოეცხადებია სრული თანხმობა წინადადებაზე. «სად შეგვიძლია ამდენი ფულის გადახდა; ღარიბი ვართო» — იძახდნენ დეპუტატები. მაგრამ, რაკ ეპისკოპოსის სიტყვა გავიგოთ, მაშინ ვსთქვათ, რომ სამღვდლოებისგან უარი მოუხსრებელი იყო; ისე გონიერი, საბუთიანი, გრძნობით სავსე და ძლიერი იყო ეს სიტყვა, რომ მეტის მეტს უგრძობლოებას და სასირცხო უმადურობას გამოაჩინდა სამღვდლოება, რომ წინადადებაზე უარი ეთქვა. განუმატრა რა სარგებლობა და საჭიროება სემინარიისა, ყოველ სამღვდლომ მოაგონა სამღვდლოებას, რამდენი უშრომია მას და შრომობს მათი წარმატებისათვის, რამდენათ გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა, შემსუბუქება მიეცა მათ მის შემდეგ, რაც ის იმერეთში ეპისკოპოსად არის. — მე თქვენ არაოდეს არ შემეწუხებინათ, თქვენთვის არა მითხოვნი, ეუბნებოდა ყოველ სამღვდლოთ, — მიყავით ხართ, ამისრულეთ ეს ერთი თხოვნა, ნუ გამაწვილებთ. ეს საზოგადო სასარგებლო საქმეა და ყველაზე პირველ თქვენთვის, თქვენი შვილებისათვის; მაგრამ მივიღებ ისე, ვითომც პირად ჩემთვის მოგვეცხათ შემწეობა, ჩემთვის გექნასთ დიდი სიკეთე, რომელსაც მე დიდად დავაფასებ და არაოდეს არ დავივიწყებ. ამით თქვენ დიდ სახსოვარს დასტოვებთ შთამომავლობისათვის» და სხ. ამასთანავე ყოველ სამღვდლომ გამოუცხადა, რომ სწორავს ამ საქმისთვის თავის საკუთრებიდან ათას მანეთს და შემდეგ ყოველ წლებით ას-ას, და ამას გარდა, თუ რამ საშუალება ექნება, არსოდეს არ დაზოგავს სემინარიისათვის. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა უთხრა დეპუტატებს, რომ მოილაპარაკონ კარგათ ამ საქმეზე, და კრებიდან წავიდა. მისმა სიტყვამ შეარყია, დასძლია კრება. «რაც უნდა გავიჭირდეს ამდენი ფულის გადახდა, ახლა უარის თქმა აღარ შეგვიძლია.» — ამბობდენ ეპისკოპოსის სიტყვის შემდეგ ისინი, რომელნიც ერთი საათის წინ ძალიან უარზე იდგნენ. ამ კრებას დაესწრო სამეგრელოს ეპარხიის მმართველი არხიმანდრიტი გრიგორი (დადიანი), რომელმაც აღუთქვა ყოველ წლებით 50 მანეთის შეწირვა სემინარიისთვის. ოთხ დღეს გაგრძელდა დეპუტატების კრება და მოლაპარაკება და გათავდა მით, რომ გადასწყვიტეს მომავალი წლიდან დაწყებული ყოველ წლებით შემოტანა 13,000 მანეთზე რამდენიმე მეტისა. რასაკვირველია, 13,000 მ. თუ შამოვიდა, ისიც კარგა. ამ ფულის შემოტანაში მონაწილეობა ექნებათ ახლანდელს და სენათის სამღვდლოებასაც. უეჭველია, ამ ფულით და იმით, რამდენიც ექნება გადადებული სასწავლებლისა და სემინარიისთვის იმერეთის საეკლესიო ხაზინიდან, სასწავლებლის და სემინარიის შენახვა შესაძლებელი არ არის; მაგრამ საქმე აი რა: რადგანაც სემინარია იქნება საზოგადო მრთელი დასავლეთის საქართველოსთვის და არა მართო იმერეთისათვის, მის შენახვაში მიიღებს მონაწილეობას სამეგრელოს ეპარხიის სამღვდლოება და საეკლესიო ხაზინა. ამ სახით ჩვენ გვაქვს იმედი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ქუთაისში სასულიერო სემინარია გვექნება, — რამდენიმე წლის შემდგომ ეამბობ ამისთვის, რომ გარდასწყვიტეს ამ საქმესა უმაღლესი მთავრობა და მერე სახლის აშენება სემინარიისთვის, რასაკვირველია, რამდენსამე წელიწადს მოითხოვს. გულით და სულით ვისურვებთ, რომ ეს საზოგადო



ქართული ჟურნალი

სასარგებლო საქმე ჩქარა მოვიდეს სისრულეში. სემინარია ქუთაისში მართლაც ერთი უწყებებისთვის, სამღვდელთა მისთვის კი არა, მრთელი მხრისთვის იქნება დიდად სასარგებლო. მრთელი დასავლეთის საქართველოსთვის ამჟამად მხოლოდ ერთი გიმნაზია არსებს ქუთაისში, რომელიც საცნაო მოსწავლეებით და, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; ამასთანავე ისიც არ ვიცით, როგორი იქნება ამ გიმნაზიის მომავალი სვე: დარჩება ის კლასიკური გიმნაზიათ, თუ გადააკეთებენ მას რეალურ სასწავლებლად. სემინარია იქს გიმნაზიის მაგივრობას, რადგანაც იმაში (როგორც ოთხკლასიან სასწავლებელშიც) ორივე კლასიკური ენები ე. ი. ლათინური და ბერძნული იქნებოდნენ, და, როგორც შემოთვალთ, სემინარიის ოთხს კლასში ნასწავლს უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ.

N.

საინგილოდგან 41 სექტემბერი

1867 წელს «დროების» 24 ნომერში სხვათა შორის მე ვსწერდი: «ზაფხული დადგება თუ არა, მაშინვე ასობით და ორასობით დაიწყებენ ხალხი ქიზიყელები საინგილოში სიარულს. ესენი, რასაკვირველია, ყველანი თავის სისაწყლეს გამოჰქცევიან და ემებენ აქ სამუშაოს; მრავალი იმათგანი სამკალს რომ გაათავებენ, ზოგნი მოჯამაგირეთ უდგებიან ინგილოებს და ზამთარ-ზაფხულ იმათთან რჩებიან, ზოგნი ცუდ უბრალოდ დაეთრევიან აქა-იქ. ზოგნი კიდევ საყდრის ყარაულებათ დგებიან. წლებულსაც, უმოსავლობის გამო, ურცხვე ქიზიყელები გადმოვარდნენ აქ, საინგილოში. ამდენ ხანს გარემო კაცები მოდიოდნენ აქ, მუშაობდნენ, იგებდნენ და მიჰქონდათ სულადი თავიანთ ცოლ-შვილის გამოსაკვებათ; მაგრამ წლებულსა უმოსავლობამ და ამასთანავე საშინელმა სეტყვამ თითქმის მთელი ქიზიყი სრულიად დააუთხო. კაცები არამც თუ თვითონ მოდიან, არამედ ცოლ-შვილიც მოჰყავთ თან, რომ როგორმე წლებულს ისინი იოლათ წაიღონ. ამ ჟამად ისე დაწიკებული არიან ქიზიყის გლეხები, რომ კაცი განცვიფრებაში მოდის, იმათ რომ ხედავს ოცს და ოცდაათს ერთად მოარულებს აქ სოფლებში. პატარა ბიჭები მოხუცებულები და დედაკაცები დადიან სოფლებში; ისე მრავალნი დაიარებიან, რომ საინგილოს ადგილობრივი მცხოვრებლები გზონებათ და არა მოსულები. ამით თან დაჰყავთ ჯორები და თხოვლობენ. საცოდავნი არიან საწყობები! ისეთი ხეწნით და შწუხარებით თხოვლობენ, რომ კაცს შეგეცოდება. ამ ორი დღის წინათ ჩემს სახლში მოვიდა და მოჰადგა ერთი მოხუცი კაცი ორის დედაკაცით. მოახლოვდა ჩემთან და რაღაც ექვით მკითხა:

— მღვდელი ბჰანდებით?

— დიად, ვუპასუხე მე.

— მაშ პურს არ გვაქვს? მკითხა იმან

კვლავ მე გავიციე, ავდეგი და ვუბრძანე პურის მიცემა. ისინი დასხდნენ წაბლის ხის ქვეშ და ჰამას შეეცქეროდნენ; მეც მიუჯექი იმათ და დაუწყე ლაპარაკი. ამ დროს მოხუცმა სთქვა: თქვენმა მადლმა, მღვდლო, მქონდა კი ენაბი და ამ ორი წლის წინათ კარგი შეძლება, მაგრამ ამ უმოსავლობამ და ახლანდელმა ზოგიერთმა წყაბილობამ ისე გაგიხადა საქმე, რომ ახლა შემშლით ვიხოცებით ჩვენს ქვეყანაში და ამისთვის აღარა ვსდები ჩემს ოჯახიშვილობას და აი ახლა ცოლითა და ჩაძლით დავდივარ სათხოვნე-

ლათ.» ამ სიტყვების შემდეგ იმას ცრემლი გადმოუვარდა თვალიდგან ლოყავზე.

მეორე დღეს კიდევ შემომივარდა ერთი ახალგაზდა ქიზიყელი კაცი და მთხოვა: «მღვდლო! შემშლითა ვკედები, ერთი პური მაჰამც!»

— გამომცხვარი არა გვაქვს, ვუპასუხე მე.

— ახა ღმერთო! მაშ რა ვსჯამო, საით წაიღე? დღეს ვისაც მივაღექი, ყველამ ის მითხრეს, რომ გამომცხვარი არა გვაქვსო. ეხლა შენც მაგას მეუბნები, მაშ ვის მივაღვე, თუ არა მღვდელს? — მე მიუთითე იმას თონეზე, რომელშიაც ის იყო ცეცხლი ჩანთოთ და ვთხოვე, რომ მოეცადა. იმან გამოგონა. ცოტა ხანს შემდეგ იმას მიუტანეს პურები და რამდენიმე კიტრი. სქამა და წაიღა.

ამნაირათ თითქმის მთელი ქიზიყის ხალხი საინგილოში და კახეთში გავიდა სამუშაოთ. ყანები მთლათ ქიზიყელებმა მომკეს სულად-ზე, დაუქვეს და მერე თავიანთ ურმებით გაიტანეს. და ვისაც მუშაობა არ შეეძლო, იმან კიდევ იყიდა სულადი, დაუქვა და გაიტანა სახაბოთოთ. ვინც ვერ იმუშავა და არც ფული ჰქონდა სულადის სასყიდლო, იმას წამოუსხამს თავისი ცოლ-შვილი საინგილოში და აქ ხიზნათ ცხოვრობს. უნდა ნახათ, რა საშინელს სიღარიბეში იმყოფებიან ისენი: მთელს საინგილოს იქნება ამ ჟამათ ხუთასი ხიზნად გადმოვარდნილი ლარიბი ქიზიყელი მკომური. ყველა ესენი ძონძეში გახეულნი დადიან. ინგილოები რომ ხედავენ იმათ სიღარიბეს, ებრალებათ და აყენებენ თავიანთ სახლებში ცალკე; ეს დამშეული ხალხი, მხილველი ეზოებში და მამულში მსხმოიარე ვაშლებისა, თხილისა, ვენახში ყურინისა და სხ., ესევე მამულს და ზარალს აძლევს ინგილოს: ამისთვის ახლა იმათ მრავალნი თავიდგან იშორებენ, ვიდრე მოსავალს აიღებენ. რიცხვი ხიზნებისა დროს განმავლობაში უფრო და უფრო მრავლდება.

რუსეთში და სხვა უცხო სახელმწიფოებში ამ ვეარ შემთხვევაებში მაშინვე დაუყოვნებლივ აცხადებენ გაზრთებში და მთავრობა ოფიციალური გზით, რომ ფულის მოკრფით შემწეობა მიეცეთ გალარიბებულს და უმოსავლო ხალხს; ფულს აგროვებენ საზოგადოებაში მთავრობისიგან გამოგზავნილ ქალაქის დატარებით და ურიგებენ დამშეულ ხალხსა. უცქველია, ამ გვარი საშუალება ბევრს არ დაეხმარება, მაგრამ ცოტას რომ დაეხმაროს, ისიც კარგია. ჩვენში ფულისა და სხვა რისამე მოკრფვას თუ სხვა არა თავებს, ჩვენმა გაზრთებმა მაინც არის უნდა ითაეონ, რომ ხალხი დაიხსნას ამოწყვეტისაგან. ხალხმა თვითონვე გამოაცხადა სურვილი ამ გზით მისთვის შემწეობის მიცემისა, მაგრამ, მისდა საუბედუროთ, არავენ ყური არ ათხოვა.

დაყოვნება არ გვიჯობს: ქიზიყის ხალხი იქსაქება. ის შემშლიმა შეაწუხა. ბევრი გავქცა ამის გამო თვის საყვარელ სამშობლოს. ცრემლი უჩუბჩუხებს თვალებში ქიზიყის ნორჩ თაობას... ამ გვარი უბედურება მხოლოდ საზოგადო შემწეობით მოისპობა. მიეცეთ ერთმანეთს ხელი და წამოგაყენოთ ჩვენი ძმები ქიზიყელები ფეხზე. ის სიღარიბემ და სიღარიბის ვაჭრებმა დასცეს. ყველა საქართველოს შვილებმა კომლზე თითო მანეთი რომ შეეწიროთ, არა დააკლდება რა ჩვენ ჯიბეს. საზოგადო გაკეთებული საქმე ყოველთვის ღონიერია. თავისი შენახვა თუ მხოლოდ თვითონვე ქიზიყს მივანდეთ, უცქველია, დაიღუპება და ხალხი სულ მალე მოითესება მთელ საქართველოში. მე ჩემის მხრით შემწეობას ჩემი ოცნებამ ჯამაგირადამ ხუთი მანეთი. შესდგეს კამისა და მიიღოს

ეს ფული ჩემგან. დაწყეთ ხელის მოწერა: მრავალნი აღმოჩნდებიან ხალხის მეგობარნი და ფულის შემატყვიარნი ფულის შემწეობისთვის.

ინგ. ლ. ჯანაშვილი.

ოქტომბერი, 16 აგვისტოს

ჩვენში ხშირად ბევრი შესამჩნევი ამბები ხდება ხოლმე და ყურადღების ღირსი. ამ ამბების რიცხვში ერთი რამე უნდა მომხდარიყო ამ ხანად, რომელიც მართლა რომ შესამჩნევი იქნებოდა, რომ ასრულებულიყო, რადგან ეს პირველი იქნებოდა ჩვენში; მაგრამ ვერ ვახდა ამ ჩემ პატარა ბარათში სალაპარაკო საგნათ. ეს შემთხვევა არის გურული მახინჯარა დუელი, რომელიც უნდა გამართულიყო ორ ჩვენებურ ახალგაზდა თავადთა შორის.

მართალია, ამგვარი შემთხვევა ახალი არ არის ჩვენში, ეს მხოლოდ ერთი ძველი მამაცური მოგონებაა, მაგრამ ნამდვილი დუელის შესრულება, ყველა თაის წესებით, როგორც სხვა ქვეყნებში ხდება, ნამეტურ ეხლა, როგორც ვგეგმის, ჩვენში ახალა. ბევრნი არიან ჩვენში იმის მომსწრე კაცები, რომელთაც თვითონ უნახავთ თავიანთი თვალით, რომ ხშირად გამოსულან ერთმანეთთან თავმოყრნე გურული კაცები იმისთვის, რომ ერთმა უპირატესობა მოინდომა მერევე საზოგადოებაში; მეორე მხარეს ეს მაინც თავის ღირსების დამცირებად, ბევრის მიუწერ-მოუწერლად და ამანდ საქმის შეუყენებლად, იქვე ამგვარის შეურაცხებისათავე, გამოუწვევით ერთმანეთი, გაუმიშვლებათ დეკურები, ხრმლები და იქვე მოუხდიათ ერთმანეთთან ბოდიში ამ დეკურებით და ხშირად მომხდარა, რომ ერთმანეთი მოუკლავთ და თუ გადარჩენილან, დაჭრილობის მოარჩენის შემდეგ, ძმურად შეხედრიან ერთმანეთს; ესეთი თავის ღირსების დაცვა არა თუ მართლ თავად-ზნაურობაში ყოფილა—დაბალ ხალხშიაცა. მაგალითებრ, ამ ჩვენი მახინჯარა დუელის ლაპარაკზე, ერთმა მომსწრე კაცმა, რომელსაც ძლიერ არ მოსწონდა ეხლანდელი ჩვენებური ფშუკ-დუელობა, მიამბო ნამდვილი ჩვენებური დუელი, მომხდარი ერთს ქორწილში სოფელს გურიანთას. ამ სოფელში, ერთ ქორწილში, სხვა მიწვეულთ შორის ყოფილიყო ორი გლეხი-კაცი გ. გ.—შვილი და მ.—მე უ—მე გადმა-გამოდმა და მსხარნი სუფრავზე პირველს მათგანს ლაპარაკი მოსვლოდა დღინის დაღვეაზე და დაუბახნია მეორესთვის თავის ადგილიდგან: მერიკიბეს რომ დოქი უჭირავს ხელში, საესეს თუ გამოსცილია? და სამახსოროთაც აუღია.

— ზიგველი. დავლიოთ, ბიჭო, მე და შენ ერთი ამეღამ რჯულზე! დღინის სმის ქეიფზე ვარ, დალიე მაი დოქი ღვინო, თუ შეგიძლია და დამილიე!

— მეორე, ღმერთმა თავსლაფი დაგასხას მაგ კაცობაში, მაშინ მიწა გამისცა კაკალთ აქანთ-აქანე, შენ რომ ჩემტოლი დენო დალიო... გამოწურე შენ და მე თუ ვერ გამოვწურავ, დედაბრის ლაჩქს დაეხურავ მაშინ თავზე; არა, ჯერ გამოწურე მაი და მე რე შეიტყოფ—დავლევ თუ არა. გამოვწურავ კი არა, დოქსაც გადავყლაპავ, თუ გინდა... შენც გადავყლაპავ, თუ გიმება, შეიტყე მაი შენ?

— ზიგველი. შენცე ვინცხამ ამ ყაზილარს და დასტურ დედაბრეს, მაშინ ყოლიფერი მომიცეკა მე კალანდამდი არ მივაწიე ცოცხალი, მე თუ შენ ყაძახობაში მაჯობფ... ვადამყლაპავ? ვეი! რაეა ტყემლის ბურკა ვარ თუ? დასტურ დედაბერი ვიქნები, მაი თუ შევითმინე მე... ვადმეიარე შენ მყარლო მაგ სუფრიდან, თუ გული გაქ!

— მეორე, გადმევიარე, მათევიარე, მათევიარე, მათევიარე!

ამ სახით გადმოხტარან ორნივე თავთავითი ადგილებიდან, მისულან ერთმანეთთან შუა ადგილზე, დალაპარაკებულან უცებ, რომ ჩვენ ყამებით (გურული ხანჯალით) ვიჩხუბოთო, მიუციათ ერთმანეთისთვის ხელი ხელში, ამოუღიათ ყამები და ერთმანეთი დაუხეხიათ საშიშრად. მაგრამ შემდეგ მოარჩენილან ორნივე. ეს ღომ-კაცები უნახავთ ერთმანეთი და ამათ სიცოცხლეში ამათანა მეგობრები სხვა არავენ ყოფილა. ჰაი ჩვენში ძველათ როგორი დუელობა სცოდნიათ.

ეხლა, რომ არ გადავცე თავითვე მოხსენებულს ამბავს, ისევე მოვყობი. თ. ვ. გ.—ისთვის შეურაცხება თურმე მიეყენებია თ. ვ. გ.—ეს. რაში მდგომარეობდა ეს შეურაცხება—მართალი არ ვიცი, მაგრამ ეს მაინც საჭირო არ არის. თ. ვ. გ.—სწერილი მიუწერია შეურაცხებლობისათვის საზოგადოებაში ბოდიში მოიხადე ჩემთანო, ან არა და დუელში გამოდიო. ამ უკანასკნელმა ბოდიში მოიხიოვა მართლა თ. ვ. გ.—თან, მაგრამ ბარათით. ამაზე თ. ვ. გ.—მა ხელ-ახალი ბარათით უკანასკნელად გამოითხოვა დუელში, რომლის ასასრულებლად წაიდა მესამე დღეს, თავის მხრით ერთის დამსწრე პირის თან ყაყოლით, და მივიდა თუ არა თ. ვ. გ.—სას, ამას დუელში გამომთხოვის მისვლისათავე ჩაუყვტია ოთახის კარები და არ გამოსულა. ეს კიდევ არაფერი: მოუწვევია, როგორც მითხრეს, სოკლის მამახალსები თავის ახლო-მხლო საზოგადოებდგან, ბევრის დამსწრე პირებით. თ. ვ. გ.—მაინც თავისაზე დამდგარა და მოუთხოვია თ. ვ. გ.—დგან ან ბოდიში ან დუელში გამოსვლა. მაგრამ ეს მაინც თავის დაკეტილი ოთახიდგან არ გამოსულა გარეთ და საქმე იმათ გათავდა, რომ ამდენი კაცების დასწრების მიზეზით დაიშალა ჯერ-ჯერობით ეს საქმე—და ვინ იცის, რომ ეგრე ჩაივლის?

«დროებაში» ვკითხვლობ სხვა და სხვა ადგილს მოხდენილ ავ-კაცობას: კაცის კვლას, ქურდობას, ჩამოხრობას და სხვას. მაგრამ უნდა მოგახსენო, რომ ამ გვარები არც ჩვენში არის კაცლები: დიდი ხანია არ გამოგონია, რომ ჩვენში ტყეები გაეყვართ სამხლარს ჩოლოქს გალა, ეგ მე დავიწყებული მეგანა ჩვენებიდგან და ეხლა—ხელ-ახლა იწყება მგონია: ავერ დიდი ხანი არ იქნება, რაც სამი კაცო მოჰქვას ააზაკებმა საზიზლარ სანახავათ, მაგრამ უჭრა გულას დასაწვაი ამბავი ერთი შემთხვევა მოხდა ამ დღეებში. ერთი ოზურგეთელი ვაჭრის ხელ-ქეითი, მიხეილ მიქელაშვილი, წასულა მარიობის ადება ღამეს საღაც, ამბობენ, სატრფოსთან, და ამ დღიდგან მოკიდებული ავერ ხუთი დღე გადის სტენიან. მართებლობას გარდა მრთელმა აქაურმა ვაჭრებმა ითხოვეს, ნება მიეცათ მათთვის მოსანახავათ. წაიღენ სოფლებში, სადაც ის ყმაწვილი დადიოდა, ბევრი ეძიეს, მრთელი სოკლის საზოგადოებაში გასხრიკეს ყველა მოსახლე კაცების სახლები და მარნებ-ქეეგები. მაგრამ ვერ ნახეს. ბოლოს დღეს ვინცალამ ამბავთ მოიტანა, რომ ვითამც საღაც ენახოს ეს ყმაწვილი, მოკლული. ამბობენ, შემჩნეულები ამ დანაშაულობაში მხედველობაში ჰყავს სასამართლოსაო, მაგრამ ისინი დიდ უარზე დგანანო. რით გათავდება ეს საქმე, ვაცოდინებ «დროების» მკითხველებსა.

გურული.

რუსეთი

ზოგიერთს რუსულს გაზრთებში სწერენ, რომ მოსკოვში ქალებისთვის ცალკე ლიცენის გამართვას აპირებენო, რომელშიაც მარ-



ტო ერთი ისტორიკო-ფილოლოგიური ფო- კულტური იქნება. ეს ლიცეი იხსნება თურ- მე ზოგიერთი მოსკოვის პროფესორების მე- ცადინებით. იქ გათხოულსა და გასათხო- ვარ ქალებსაც შეუძლიათ სწავლის მიღება; საჭირო იქნება მხოლოდ, რომ გიმნაზიის შესრულების მოწივობა ექნეს.

კურსის მცხოვრებლები აპირებენ თავის ხარჯით ამ ქალაქში რეალური გიმნაზიის გაშრობას. ამ საქმისთვის ქალაქს ერთი კარ- გი სახლი და ყოველ წლით 7,000 მანე- თი შეუწირავს.

პოლში მალე ახალ სასამართლოს რე- ფორმებს შემოიღებენ. ერთს რუსულ გაზე- თში ამის თაობაზე სწერენ, ახალ სასამარ- თლოებში რაფიციალური ენა, რუსული ენა იქნება, ამ ენაზე იქნება მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება; მაგრამ თვითონ სასამარ- თლოებში მოძიებების მოლაპარაკება და ბაასი შეიძლება პოლშურ ენაზე იქნეს.

ერთს ერობის კრებას ჩამოუგდია ლაზა- რაკი იმაზე, რომ სოფლის მცხოვრებლები ვალდებული გახდნენ, რომ მანქანები მხეცები თავის ახლო-მახლო ალაგებში ამო- წყვიტონ.

პეტერბურის ცენზურის კამიტეტს ალუკ- რაძალას მესამე გამოცემა რუსის მწერალის პისარევის თხზულებებისა; ამის გამო, ამბო- ბენ, ეს გამოცემა დროებით შეჩერებული არის.

სტუდენტის განჩარვის ცოლმა, რომელ- საც მმართველობის წინააღმდეგი პროკლა- მაციების გაერცელებას ახრალდებენ, თავი მოიკლა.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ჩადგანაც სხვა ყურადღების ღირსი არ არის რა საფრანგეთში ამის გამო ყველაზე უფრო მომეტებულს ეხლა ამაზე ლაპარაკობენ — თუ როგორ და სად უნდა ვიდღესაწავლოთ 22 სექტემბერი, ე. ი. ის დღე, როდესაც საფ- რანგეთში პირველი რესპუბლიკა დაწესდა. საფრანგეთის რესპუბლიკელებს ჯერ უნდო- დათ რომ 4 სექტემბერს ედღესასწაულებით ახლანდელი რესპუბლიკის დაფუძნების დღე; მაგრამ შინაგანი საქმეების მინისტრმა გამო- აცხადა, რომ ეს დღე ჩვენ, რესპუბლიკის და- ფუძნების გარდა, სხვა ჩვენ ბევრ უბედურე- ბას და დამარცხებას მოგვაგონებს და ამი- ტომ რიგია, რომ არ ვიდღესაწავლოთ; და ამის თაობაზე ყველა პრეფექტებს მიწერილი- ბა გაუგზავნა, რომ აძლეს ბანკეტების გამარ- თვის ნებას ნუ მისცემთ ხალხსა. შემდეგ რესპუბლიკელებმა გადაწყვიტეს, რომ პირვე- ლი რესპუბლიკის დაფუძნების დღე ედღესას- წაუღებიათ, და ამას მაგრე რიგით არც მმარ- თებლობა უშლის ამის გამო ეხლა საფრან- გეთის თითქმის ყველა ქალაქში ბანკეტებსა და დიდ დღესასწაულობას მოელოან. ამბობენ, რომ საფრანგეთის ყველა გმოჩენილი რეს- პუბლიკელები, და მათ შორის გამეტაც, მიი- ლებენ ამ ბანკეტებში მონაწილეობას და ამ დღის შესაფერ სიტყვას წარმოთქმენო.

— თითქმის ყველა საფრანგეთის ღენერა- ლურმა რჩევებმა, გაათავეს თუ არა თავის სხდომები, აღრესები გამოუგზავნეს ტიერს, რომ

მელშიაც სხვათა შორის თავის თანაგრძნო- ბისა და საფრანგეთში რესპუბლიკური მმარ- თებლობის სამუდამო დაფუძნების სურვილს უცხადებდნენ. ერთი დეპარტამენტის რჩევის ამ გვარ აღრესზე ტიერის სეკრეტარმა ბარ- ტელემი-სანტილიერმა მისწერა პასუხათ, რომ იმას ჯობია რესპუბლიკის მხარე და ჰსურს რომ ახლანდელი ნაციონალური კრება, გაე- ლენ თუ არა ნემეცები საფრანგეთიდან, და- თხოვნილი იქნეს. იმს გარდა ბარტელემი- სანტილიერი აცხადებს, რომ ყველა კომუნა- ლისტების პატიება, ჩემის აზრით, შეუძლე- ბელი არის, იმათ სიკვდილით დასჯას რომ მოესპობდეთ-ამას კი კარგს ვიქთო. ამგვარი აზრების გამოთქმა ბარტელემი-სანტილიერის მხრით იმიტომ არის შესანიშნავი, რომ საფ- რანგეთში ყველა დარწმუნებულია, რომ ამ სიტყვებით ის თვითონ ტიერის აზრებს გამო- სთქვამს. ამისგანა საფრანგეთის გაზეთებმა და საზოგადოებამ ამ სიტყვებს დიდი ყურადღება მიაქციეს.

— თუმცა ნემეცური გაზეთები ფრანკუ- ზებს არმწმუნებენ რომ სამი იმპერატორის ყრილობა ბერლინში საფრანგეთის წინააღ- მდეგ არაფერს არ გადაწყვეტს, მაგრამ ფრან- კუზული გაზეთები ამ კონგრესს მინც ძა- ლიან განზე უყურებენ. მართლაც, ბერის მხრით ისმის, რომ სამს ძლიერს სახელმწი- ფოს პრუსიას, რუსეთს და ავსტრიას სურსთ ამ კონგრესზე კავშირი და პირობა შეკრანო, რომ თუ ვინცოდა ევროპაში რაიმე შესა- ნიშნავი ამბავი მოხდა, ჩვენ სამთა ამ შემო- ხვევაში ერთად და თანხმობით ეიმოქმედო- თო. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ რასაკვირ- ევლია, ევროპის და აზიის საქმეები, ისე წაე- ლენ, როგორც ეს სამი სახელმწიფო მოინ- ლამებს; ვინ აღუდგება წინ ამთ სურვილს? ამგვარი პირობის წყალობით, ფრანკუზები, უტყვევლია, მოკლებულნი იქნებიან იმ იმედს რომ როდისმე გადაუხდიან ისინი გერმანიას თავის უკანასკნელ დამარცხებასა და ეს არის იმის მიზეზი, რომ ისინი განზე უყურებენ ეხლანდელ ბერლინის კონგრესს.

— ფრანკუზულ გაზეთებში სწერენ, რომ მარშალ ბაზენის საქმის თაობაზე გამოძიება გაუთავებით და მალე განსამართლება ამ საქმის დაიწყება. ამბობენ, გამოძიებამ ცხა- დათ დამტკიცა, რომ ბაზენი მართლა დანა- შაული ყოფილა ყველა იმ საქმეში რასაც კი არ აბრალდებდნენ; სხვათა შორის გამოძიე- ბიდან ცხადათ აღმოჩენილა, რომ მეცის სი- მაგრეს ორის კვირის განმავლობაში კიდევ შექმლო თავის კვლებთან შეგერებინა მტ- რები, რომ თვითონ ბაზენს არ დაეთმო ის მტრისათვისო. თვითონ ბაზენმა, რო- გორც ამბობენ, თავის გამართლების იმედი სრულიად დაკარგა თურმე, მაგრამ თავის დანაშაულობას ნაპოლეონს და იმის ცოლს აბრალებს, იმათ ბრძანებას. ყოველი თავის ქვეყნის მოყვარე ფრანკუზი მოუთმენელათ მოელოს იმ დღეს, როდესაც სასამართლო ამ მამულის მოლაღატე კაცს ღირსეულათ დასჯის.

ინგლისი

ქენეის ხალხთა-შორის სასამართლომ, რო- მელსაც «ალაბამის» თაობაზე ინგლისსა და ამერიკას შუა ატეხილი უთანხმოების გასა- მართლება ჰქონდათ მინდობილი, გაათავა თავის საქმე. ეს მედიატორების სასამართლო არც ერთ მხარეს არ მოუდგა; იმან გადაწყ- ვიტა, რომ, ხალხთა შორის კანონების ძა- ლით, ინგლისს არ ჰქონდა უფლება, რომ სამი ხომალდისთვის «ალაბამის» ფლორიდი- სა» და «მენანდლასთვის» ნება მიეცა, რომ

ინგლისის ქალაქში საომრათ მომზადებული- ყო და სამხრეთ ამერიკის შტატების დასახმა- რებლათ წასულიყო. მაგრამ ამ დროსვე იმან გადაწყვიტა, რომ ამ გარემოების გამო ამე- რიკას იმდენი ზიანი არ მისცემია, რამდენის ზღვასაც ეხლა თხოულობს და მხოლოდ 4 მილიონი ფრანკი დაუნიშნა. ამბობენ, რომ ამ გადაწყვეტილებაზე ორივე მხარე დათან- ხმდებიანო.

ეს არის პირველი და დიას ყურადღების ღირსი და წასაბძებელი მაგალითი, რომ ორი ხალხი, ერთმანეთში უთანხმოების მო- სასაბძელათ, სხვა ხალხებს მოიწვევს და რო- გორც ისინი გადაწყვეტენ ისე ათავებს საქ- მეს. საქმე, რომელიც სხვა დროს ზარბაზნე- ბისა და სისხლის ღერის საშეღებით გადას- წყდებოდა, ეხლა მშვიდობიანისა და წყნარის მოლაპარაკებით გადაწყდა. როგორ სასია- მოვნო და წასაბძებელი არ არის ამ გვარი მაგალითი?

შევიცარია

მოგეყავს რამდენიმე ალაგი ჩენი ქე- ნეველი კორრესპონდენტის კერძო წიგნიდან, რომელიც ნეჩავეს შეეხება:

«მთელი აქაური რუსობა ნეჩავეის საქმე- ზე არიან ახლა მინდობილი. დღემდის იმათ- გან მისი გინების მეტს ევრას გაიგონებდით, მაგრამ ეხლა კი ძრიელ თავი გამოიღვეს: პროკლამაციები გამოსცეს ნემეცურს და ფრანკუზულს ენაზედ, შესანიშნავ პირებთან მოლაპარაკება აქვს, ჰსურთ, რომ საზოგა- დო აზრი თავისკენ მოიხზონ. დღემდის არა სჩანს — საქმე როგორ გათავდება: ეს ერთი თვეა, რაც ნეჩავეი დატყვევლია; მოელოან რუსის მმართველობისაგან დასამტკიცებელ საბუთებს, რომ სისხლის სამართალში (კაცის კვლაში) და არა პოლიტიკურ საქმეშია დამ- წაშავე, მაგრამ ჯერ არაფერი არ მოსულა. გუშინ ამბობდნენ, რომ უფ. კოლუშკინი ჩამოსულა და ის ჩამოიტანდა საბუთებსაო. ქენევაშიდ რომ დაეკრათ, მაშინ იქნება არ მისცემდენ ჩენს მმართველობას, მაგრამ ციურისში კი ძნელი საფიქრებელია რომ არ მისცენ. ამგვარი საქმეების შესახებ შევიცა- რიასა და რუსეთს შორის არაერთი პირო- ბა არარის, და ამის გამო, ფედერალური კან- ნონის ძალით, თვითონ კანტონს აქვს ნება, როგორც თვითონ დაინახავს, ისე გადას- წყვეტს ამ საქმეს. ციურისის კანტონი, თქვენც იცით, ნემენცური კანტონია და ვინ იცის, იქაური ხალხი ამ საქმეში რომ- ლის მხარეს დაიჭერს და როგორ მონაწი- ლეობას მიიღებს. ისმის კია, რომ მუშახალ- ხი ძალიან უარზე დგასო.»

თითქმის ამგვარივე სიტყვებით იწერებინან ქენეის გაზეთებშიაც ამ საქმის თაობაზე. ქენეის ყურნალი სხვათა შორის ამბობს, რომ ეს მესამე არის, რაც ჩვენში ნეჩავეს ეტყერნო, მაგრამ ორჯულ ნეჩავეის მაგიერათ ვილაც სხვები დაუტყერიათო. ახლაც დატყერი- ლი ამბობს, რომ მე ნეჩავეი კი არა, სერ- ბიელი ვარო და არ მესმის — რისთვის მიტყე- რათო.

ნარ ევი

გერმანიის ქალაქში ნიურნბერგში მიიგვალს ამ დღეებში გამოჩენილი შერაღი-ლიუჯვილ ქ ე- ი კ ბ ა ს ი, რომელიც ბუგის სწორდა ღვთის შე- ტყევეების სავანეზე და რომელსაც ზოგიერთები ხალხში უდმერთობის გავრცელებას აბრალბენ.

ადმონინეს: იქაური ერთი სოფელი მსხვერპლ- ლეუბი დიდი ხნისა ლაპარაკობდნენ, რომ აზნაუ- რის ს-ის ხსნაში რადან ამბუბი არისო. ბოლოს ამას წინათ ჩენიგვანს ჟნდარმს რადან წიგნი მოსვლიდა ამ საქმის თაობაზე და იმ წამსვე წასუდიყო ამ სოფელში. იმან ადმონინს ამ აზნაუ- რის ეზოში ერთი ვიწრო ობოლი, რომელიც ამ აზნაურს ერთი თავის ქალი ჩაყვას. რვა წე- ლიწადა თურმე, რაც ეს საწავლი ქალი ზის ამ ობოლში. ის სრულებით დაკრუელი და გამსენე- ბული არის თურმე, ასე რომ, როცა ამოიყვანეს ფესვებზე ვერ დადგა და ყვირილი დაიწყო — ნუ მომვლამთო. გამოძიებამ ადმონინს, რომ ეს ქალი იმიტომ უწავლებია ასე თავის მამას, რომ ის არ დათანხმებულა იმის შირუტულ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. რასაკვირველია, რომ ეს კაცი იმწამსვე დაიჭირეს და საშერობილესი ჩასვეს. მსხვერპლები მოუთქმენლათ მოკლენ იმის ხს- ტავათ დასჯას.

ამას წინათ ფრანკუზულ გაზეთებში სწერდნენ, რომ პეტრი გაციინტი ცოლის შეტყვას აპირებ- სო. ახლა გამოცხადებულა, რომ იმას მართლად აუხრულებია ეს თავის სურვილი და ერთი ამკრა- გელი ქალი შეურთავს. ამ ამბავმა ძალიან ააღელ- ვა კათოლიკე, სამედეკოლესა.

გამოჩენილი რეკლამები — ბლანკი და რომელიც ვერც ვგასხდის საშერობილესი არიან თურმე დატყვსებულნი. ორჯე ისეთ ნაირათ არიან თურმე ავთ, რომ, როგორც ამბობენ, დიდი ხნის სიღრმესზე ანტრთს არ უჩინს და ამი- ტომ იმათ კვანში გატყვანს მმართველობა აღარ აპირებსო.

სწარსეთის შაჰი ევროპაში მოგზაურებას აპი- რებს დიდის ამბით. სქერქისის შექმნამ, 480 წლიდან ქრისტეს დაბადებამდე, ეს პირველი შემ- თსკვავა არის თურმე, რომ სწარსეთის მმართველი მიდის თავის სამეფოებელად და ევროპაში იმო- ტზაურებს. სხვათა შორის შაჰი მომავალ წელს ვენის გამოფენაზედ იქნებაო.

კერძობითი განცხადება

გამოვიდა სტამბიდან და ისეიდება თფილი- სის წიგნის მადანებში და გ. წერეთლის სტამ- ბაში ახალი ქართული წიგნი:

თარგმანნი

- სამოა ხაეთისგან ოხსულებათა
- გამოცემული
- ქართული ქალებისაგან
- წიგნი პირველი
- სარწმუნო: მკითხველს (წინასიტყვაობის მა- გიერათ). — პირველი ბიკი. — ამერიკელი ქა- ლები მეთვრამეტე საუკუნისა. — ყულ ტაროო. — უკანასკნელი დღენი ნათანიელ როსელისა.
- ფასი ყველგან ორი აპაზი
- ეს წიგნები ისეიდება:
- ქუთათისში: გუბერნიის სტამბაში.
- გორში — კნ. ნინა ერისთავისას
- ახალციხეს — ანა მუსხელიანისას
- სიღნაღს — რაქდენ ციციშვილთან
- თელავს — ლევან ჯანდიერიშვილთან
- ოზურგეთს — მელიტონ ლოლობერიძეს- თან.